# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

# ო ქ მ ი № 17

**სხდომის ჩატარების დრო:**

**29 მარტი, 2023 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეჩვიდმეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.**

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ზ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

**სულ: 34 წევრიდან - 20 წევრი.**

<u>შენიშვნა:</u> საკრებულოს ერთ წევრს, ბატონ ბესიკ ბრეგაძეს (საკრებულოს მაჟორიტარი წევრი) 2022 წლის 29 დეკემბრიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №158 განკარგულებით შეუწყდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

**არ ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

**სულ: 14 წევრი.**

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი და ი.უგულავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი გ.კუჭუხიძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი დ.ინანეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი რ.ჩინჩალაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კომპანიების: „გეოგრაფიკი“, „ურბანიკა“, „ოლიერს ჯორჯია“ და „კოლიერს ჯორჯიას“ წარმომადგენლები: ანა გულისაშვილი, ირაკლი მურღულია, ლევან გვარამაძე და ეთერ მუნჯიშვილი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-17 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** 2023 წლის 29 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(შეიცვალა დღის წესრიგის პროექტის მე -2 საკითხის წარმომდგენი პირი. აღნიშნული საკითხის წარმომდგენ პირად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსის, ზ.წაქაძის ნაცვლად განისაზღვრა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, დ.ინანეიშვილი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-17 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია<br>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის<br>საკრებულოს თავმჯდომარე

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დემურ ინანეიშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“
უფროსი

3 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩისა და სულხან–საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გენად კუჭუხიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე

6. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების

საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა ხიდაშელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე

7. „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის 18 იანვრის N242 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მადონა რუხაძის, ინდირა რუსიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონეტა ექსპრეს ჯორჯიასათვის“

სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

13. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი რუსუდან ჩინჩალაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების,
ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების
სამსახურის ხელმძღვანელი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირები გააკეთა **განმარტება:** „დღის წესრიგით წარმოდგენილი გვაქვს 13 საკითხი. მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ვიხილავთ. ისეთს, როგორიც არის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. ეს საკითხი წლების განმავლობაში ქალაქისათვის იყო მნიშვნელოვანი. ის, დაახლოებით, 2 წლის განმავლობაში აქტიურად იხილებოდა. ამ დოკუმენტის შემუშავების პროცესში იყო საჯარო განხილვები, რომელშიც საკმაოდ აქტიური იყო მოქალაქეების ჩართულობა. ჩატარდა არაერთი კვლევა, რომელმაც მიგვიყვანა იმ შედეგამდე, რომ ჩვენ დღეს შეგვიძლია დოკუმენტის ირგვლივ ვიმსჯელოთ, შესაბამისი გადაწყვეტილება მივიღოთ და მხარი დავუჭიროთ ამ გეგმის კონცეფციას. ამით ეს პროცესი არ მთავრდება. მას შემდეგ, რაც მივიღებთ გადაწყვეტილებას, აქტიურად დავიწყებთ აღმასრულებელი ხელისუფლების, ქალაქის მერის უშუალო ხელმძღვანელობით ქალაქის გენერალური გეგმის მომზადების პროცესს.“

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"): „გუშინაც მქონდა ეს შეკითხვა. ეს გეგმა ქალაქის გენერალური გეგმაა, კეთილმოწყობის გეგმაა თუ სივრცითი მოწყობის გეგმაა, საერთოდ არის ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა?"

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ეს არის ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის კონცეფცია. გენერალურ გეგმაზე არ ვსაუბრობთ დღეს. ჩვენ ვსაუბრობთ გენერალური გეგმის კონცეფციაზე. "

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „კანონის თანახმად, გენერალური გეგმა 260-ე დადგენილების მიხედვით იერარქიულად შეიძლება რაღაც ასოციაციებს იწვევდეს, მაგრამ ამ დოკუმენტს ეწოდება გენერალური გეგმის კონცეფცია. გააჩნია თემატიკას, რა წერია ამ დოკუმენტში. ეს არ ცდება განაშენიანების დარეგულირების ჩარჩოებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"): „აქ არის არა ქალაქის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფცია, აქ არის განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფცია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „ეს არის გენერალური გეგმის კონცეფცია და შინაარსი აქვს განაშენიანების თვალსაზრისით."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საკრებულოს მე-17 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე,

რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-17 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება № 62** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „გუშინ, კომისიის რეჟიმში ვიმუშავეთ ამ საკითხზე. უფრო მეტი კონკრეტიკა გვესაჭიროება, რომ ჩვენმა მოსახლეობამ გაიგოს, რასთან გვაქვს საქმე. როცა მოქალაქეს დაუწერს სამსახური ჯარიმას, რა ვადა აქვს ჯარიმის აღმოსაფხვრელად? ასევე, თუ მოქალაქეს გადაცდომის კორექტირება აქვს დაწყებული, ჯარიმდება თუ არა, ანუ, ამ საკითხზე მეტი კონკრეტიზაცია გვესაჭიროება.“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დ.ინანეიშვილი:** „დარღვევის შემთხვევაში ვადგენთ მითითებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „კონკრეტული მაგალითი მოგვიტანეთ. მაგალითად, ფიზიკური პირი აწარმოებდა მშენებლობას. აქვს გადაცდენა კედლის პარამეტრის 20 სანტიმეტრით. მიბრძანდით თქვენს ექსპერტებთან ერთად, აღმოაჩინეთ ეს დარღვევა, თუმცა, საპროექტო სამსახურის მიერ შეიძლება მისი აღმოფხვრა.“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დ.ინანეიშვილი:** „იქნება მიცემული მითითება, განსაზღვრული იქნება 10 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოფხვრის. თუკი გამოასწორა ამ ვადაში ეს ხარვეზი, მაშინ წყდება საქმის წარმოება. თუ გააგრძელა მშენებლობა გადაცდომით, მაშინ ჯარიმდება შესაბამისი აქტით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „გამოსწორებაში რას გულისხმობთ, ბატონო დემურ? მოქალაქეს, კედელი უკვე ამოშენებული აქვს, 20 სანტიმეტრი აქვს ცდომილება. თუ პროექტის კორექტირება დაწყებულია, გამოსწორების დაწყებად ითვლება თუ არა ეს და ამ შემთხვევაში ჯარიმდება თუ არა მოქალაქე?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დ.ინანეიშვილი:** „გააჩნია რა ტიპის მშენებლობაა და თუ არ გამოდის ეს კანონით დადგენილ ვადებში, მაშინ ჯარიმდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „მაგრამ დროში ვერ მოასწრო, იმ კონკრეტულ 10 დღეში, ამ შემთხვევაში აჯარიმებთ თუ არა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „რასაც ბატონი კობა კითხულობს, ყველას გვაინტერესებს. ადმინისტრირება დაწყებულია მაგალითად, არქიტექტურის სამსახურში. შემდეგ რა ხდება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „თუკი ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაიწერა გაფრთხილება, ეს ნიშნავს, რომ დასაშვები ცდომილება იქ არ გვაქვს. ესე იგი, გვაქვს რაღაც ისეთი დარღვევა, რაც დასაშვების მიღმაა, დასაშვები ცდომილების შემთხვევაში ზედამხედველობის ინსპექცია გაფრთხილებას არ აძლევს. თუკი პროექტირება დასჭირდა, ორი შემთხვევა არის. შეიძლება შეთანხმებადი იყოს და პროექტირებული ნებართვა გაიცეს და მეორე შემთხვევაში ვერ გაიცეს პროექტირებული ნებართვა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა"): „ვიდრე ობიექტზე მივიდოდა ზედამხედველობის სამსახური, მას აღმოუჩინა მშენებელმა, რომ აქვს გადაცდომა 20 სანტიმეტრით პროექტიდან. დავუშვათ, ეს ხდება 5 რიცხვში, 6-ში მან შემოიტანა განცხადება შესაბამის სამსახურში და თქვენი სამსახური იწყებთ განხილვას. არის თუ არა პროექტირებადი ეს პროექტი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „როდესაც პროექტირებული პროექტი შემოდის ნებართვის გამცემ სამსახურში, ჩვენ ვალდებულები ვართ გადავამოწმოთ, როგორ არის წარმოებული მშენებლობა ნებართვებთან მიმართებაში. კანონის თანახმად, ვალდებულები ვართ, რომ გადავამოწმოთ, არის თუ არა ნაწარმოები მშენებლობა ნებართვის შესაბამისად. ვიმეორებ, ნებართვის გამცემ სამსახურში ვალდებული ვართ, რომ გადავამოწმოთ, როგორ არის წარმოებული მშენებლობა. ამ მიზნით, მუნიციპალური ინსპექცია გადის ადგილზე, ანუ გადის სავალდებულოდ და არა შემთხვევით, თუკი დადგინდა, რომ არ არის განხორციელებული პროექტირება დასაშვებ ფარგლებში, ამ შემთხვევაში დაჯარიმდება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „კანონს მოვარგოთ ადამიანების მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „ასე ნუ მივუდგებით, რომ შემთხვევით ამოიყვანა კედელი შეცდომით. კედლის ამოყვანამდე მშენებელს ბევრი ეტაპი ექნება გასავლელი, სადაც ეს კედელი უნდა დადგეს, საძირკველი უნდა მოეწყოს. დასაწყისშივე მიხვდება მონაშენე, რომ რაღაც შეცდომა არის დაშვებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „აქ ჩვენ ვსაუბრობთ, ოჯახი რომ აშენებს კერძო სახლს, თავისთვის რომ აშენებს ადამიანი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „2019 წლის აგვისტოს თვეში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ შუამდგომლობით მომართა საკრებულოს. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ინდივიდუალური საცხოვრებლის მესაკუთრეები, მოქალაქეები და არა დეველოპერები, გათავისუფლებული არიან მთელი რიგი ვალდებულებებისაგან. გათავისუფლებული არიან მოსაკრებლის გადასახადისაგან, მშენებლობის ნებართვის გაცემისაგან. მოგეხსენებათ, მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. არც ამ დოკუმენტების წარმოდგენა ევალებათ, აგრეთვე არის ბევრი დეტალი, რომლისგანაც თავისუფლები არიან. დარღვევის შემთხვევაში მუნიციპალური ინსპექცია 45 დღიან ვადას აძლევს დოკუმენტაციის შესასწორებლად და ინდივიდუალური მაცხოვრებლები ამ ნაწილში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ დაცულები არიან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“): „მინდა იცოდეთ, რომ მე ამ შეკითხვას არ ვსვამ

ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან. ამომრჩეველმა მინდა იცოდეს, თუ რა შეღავათებით, პირობებით სარგებლობენ მოქალაქეები ამ სფეროში.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მეც ვიცი, რომ რეალურად ადმინისტრირების შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა იზრდება. რამდენად გაიზარდა ჯარიმა?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დ.ინანეიშვილი:** „სანებართვო პირობების დარღვევისათვის, მე-3 კლასი გახდა 10 ათასი ლარი, მე-4 კლასი - 15 ათასი ლარი, უნებართვო მშენებლობა 25 ათასი ლარი. სანებართვო პირობების დარღვევა კლასთან ერთად იყო 4 ათასი ლარი, ახლა გახდა 10-15 ათასი ლარი კლასთან ერთად.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ჯარიმის ცვლილება რამ გამოიწვია? თქვენთან პრაქტიკაში რაიმე სტატისტიკური მონაცემები იყო თუ სხვა მიზეზები არსებობდა?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დ.ინანეიშვილი:** „პრაქტიკამ აჩვენა, რომ უღირდა ბევრს, 4 ათასი ლარიანი ჯარიმის გადახდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „კანონში როდესაც ცვლილება შევიდა, მას წინ უძღოდა კვლევების შედეგებზე დაფუძნებული ბევრი დასაბუთება და მონაცემი. ეს აღნიშნულია განმარტებით ბარათშიც.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „რეალურად, ჯარიმის გარდა სხვა ადმინისტრირების საშუალება არ იყო?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რ.ჩინჩალაძე:** „უფრო მეტიც, ბატონო ირაკლი, მესამე ეტაპზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იყო.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც იყო და მის მერე აღსრულება, დემონტაჟი.“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დ.ინანეიშვილი:** „ამ დადგენილებით ვაჩერებთ მშენებლობას, თუ არ გაითვალისწინა, ვაჯარიმებთ 25 ათასი ლარით და შემდეგ გადადის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „ჩვენ, ასე, რომ ვთქვათ, ამას კანონიდან ვაკოპირებთ. ორგანული კანონიდან გვაქვს გადმოღებული და ვერაფერს შევცვლით. აუცილებელია, რომ იყოს გათვალისწინებული ეს ცვლილება. პროექტი, დაახლოებით, წელიწად ნახევარი მუშავდებოდა. ჩვენ კომისიაზე ვისაუბრეთ და ინფორმირებულობის ნაწილში ვეცადოთ მოსახლეობას მაქსიმალურად მივაწოდოთ ინფორმაცია. დეველოპერები ამის შესახებ არიან ინფორმირებულები. მათ აქვთ იმის ფუფუნება, რომ ყავდეთ იურისტები და პროცესებშიც იყვნენ ჩართული, მოსახლეობას კი, მაქსიმალურად უნდა შევატყობინოთ, რომ ცვლილებები არის კანონში. კანონიც იმიტომ გამკაცრდა, რომ აიკრძალოს უკანონო მიშენებები, სიცოცხლისთვის საშიში მშენებლობები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „დავუშვათ, სტიქიური უბედურება იყო. ზოგ შენობას სახურავი ახადა, ზოგი სხვაგვარად დააზიანა სტიქიამ და მშენებლობის ვადები დაირღვა. ამ შემთხვევაში აქვს თუ არა შეღავათი მოქალაქეს?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დ.ინანეიშვილი:** „არც ერთ მშენებლობას არ აქვს მცირე ვადა, მინიმუმ 2 წლიანი ვადა აქვს ყველას.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ჩემი წინადადებაა, ეს დადგენილება, რომელსაც ვიღებთ დღეს,

მუნიციპალურმა ინსპექციამ სოციალური ქსელებით, ვებ გვერდის მეშვეობით, მიაწოდოს საზოგადოებას.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის, **დემურ ინანეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“**დადგენილება № 63** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი ოქმს თან ერთვის)

**ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ცვლილება რა თანხებს ეხება და ბიუჯეტის რა ნაწილს ბატონო დავით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე:** „შემოსავლების ნაწილში გვაქვს ცვლილება. ეს არის 5 მილიონიანი მატება მთავრობის განკარგულებთ. ის შეეხო ძირითადად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილ სამუშაოებს. სტიქია მოხდა რამდენიმე თვის წინ. განკარგულება გამოვიდა მაშინვე, როგორც კი საჭირო გახდა შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამ განკარგულების ფარგლებში, ბიუჯეტში ასახვამდე, გავაფორმეთ ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები. კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სავალდებულო პუნქტი, რომ აღნიშნული განკარგულების ასახვა უნდა მოხდეს უახლოეს საკრებულოს სხდომაზე. “

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, **დავით ნიშნიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №64** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-4 საკითხის - „**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ**“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 29 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პირველი მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამაკმაყოფილებლად და დამტკიცდეს დანართის შესაბამისად**) , ცვლილებებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ზიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის **№173 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ" **განკარგულება №173** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩისა და სულხან–საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **გენად კუჭუხიძემ.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „მოგესალმებით ყველას. მე მინდა დავით ხახალეიშვილის ოჯახისა და დედაჩემის სახელით, მადლობა გადავუხადო საკრებულოს, ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარი დაუჭირა აღნიშნულ წინადადებას."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხია. დავით ხახალეიშვილის მოღვაწეობა იყო გამორჩეული, როგორც ქალაქისათვის, ასევე ქვეყნისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **გ.კუჭუხიძე:** „არის წინადადება, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან, პატივგების საკითხებთან დაკავშირებით შეიქმნეს ჯგუფი, რომელსაც ბატონი გოგი კოპალიანი უხელმძღვანელებს და ალბათ, რამდენიმე დღეში თქვენ გექნებათ ინფორმაცია ქუჩების სახელწოდებებთან დაკავშირებით გატარებული კონკრეტული ღონისძიებების თაობაზე."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მე ამ თემაზე არაერთხელ გავაკეთე განცხადება მედია საშუალებებთან. ამ კომისიის ფორმატში შევისწავლოთ იმ ქუჩების სახელწოდებები, რომლებიც საბჭოთა სიმბოლიკას უკავშირდება. კარგი იქნება, თუ კომისია ამ პროცესით დაინტერესდება. ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ მსგავსი სახელების ქუჩები გვქონდეს ქალაქში. "

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, **გენად კუჭუხიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩისა და სულხან–საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" **განკარგულება №174** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის №347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მირზა ხიდაშელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „რა პროექტს ეხება, იქნებ განგვიმარტოთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი:** „აღნიშნული ცვლილება ეხება ნუსხაში მე-17 პოზიციის დამატებას. ეს არის მრავალსართულიანი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია. ამ ცვლილებით, ჩვენ ვითხოვთ საკრებულოსგან უფლებას, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ვიმუშაოთ ამ დაფინანსების თაობაზე.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ბატონი **მირზა ხიდაშელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის №347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება № 175** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის 18 იანვრის № 242 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 29 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**შეიცვალა განკარგულების პროექტის სათაური და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის 18 იანვრის N242**

**განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“; განკარგულების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი და „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება. გამომდინარე აქედან, პროექტის პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის საფუძველზე:“; განკარგულების პროექტიდან ამოღებულ იქნა პირველი, მე-2 და მე-3 მუხლები. მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები გადაინომრა შესაბამისად, პირველ, მე-2 და მე-3 მუხლებად)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ირაკლი გიორგაძემ**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ირაკლი გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის **№176 განკარგულების** პროექტში.

(„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის 18 იანვრის № 242 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ **განკარგულება № 176** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 29 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის დანართის 191-ე პუნქტის გასწვრივ, მე-5 გრაფაში ჩაიწერა საჯარო რეესტრის ამონაწერის ნომერი - „03.06.21.778“; განკარგულების პროექტის დანართის 193-ე პუნქტის გასწვრივ, მე-2 გრაფაში გასწორდა ტექნიკურად დაშვებული შეცდომა, კერძოდ, ამოღებულ იქნა ფრჩხილებში არსებული ჩანაწერი „( ქონების ჩამონათვალი თან ერთვის)“, გამომდინარე აქედან, აღნიშნული გრაფა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ლითონის მილები და ჯართი“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის **№177 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" **განკარგულება № 177** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 29 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის დანართის 457-ე პუნქტის გასწვრივ, მე-5 გრაფაში ჩაიწერა საჯარო რეესტრის ამონაწერის ნომერი - „03.06.21.778"**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის **№178 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება № 178** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 29 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაიწერა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში სიტყვების: „საკუთრებაში არსებული“, შემდეგ ჩაემატა სიტყვები: „უძრავი ქონების, კერძოდ“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის **№179 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო,

საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 179** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-11 საკითხის - „**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 29 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურში ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაიწერა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში სიტყვების: „საკუთრებაში არსებული“, შემდეგ ჩაემატა სიტყვები: „უძრავი ქონების, კერძოდ“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ** გამოთქმულა.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე,

ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის **№180 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 180** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-12 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მადონა რუხაძის, ინდირა რუსიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონეტა ექსპრეს ჯორჯიასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 29 მარტის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაიწერა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი), ცვლილებით,

წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ** გამოთქმულა.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის **№181 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მადონა რუხაძის, ინდირა რუსიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონეტა ექსპრეს ჯორჯიასათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" **განკარგულება №181** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-13 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **რუსუდან ჩინჩალაძემ** აღნიშნა: „მოგესალმებით მეგობრებო. რამდენიმე წლიანი ინტერვალის შემდეგ მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დოკუმენტაცია. ვიდრე განკარგულების პროექტს წარმოგიდგენდეთ, მინდა გითხრათ, რომ სხდომას ესწრება გეგმის კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფი: „გეოგრაფიკის“, „ურბანიკასა“ და „კოლიერს ჯორჯიას“ წარმომადგენლები, მადლობა მათ გაწეული შრომისათვის დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში და დღევანდელ სხდომაზე დასწრებისათვის. მე გაგაცნობთ, განკარგულების პროექტს, ხოლო გენერალური გეგმის კონცეფციის შესახებ პრეზენტაციას წარმოადგენს ქალბატონი ანა გულესაშვილი, კომპანია „გეოგრაფიკის“ კოორდინატორი, თუ რას გულისხმობს ეს კონცეფცია და რას უნდა უყაროს დღეს საკრებულომ კენჭი.“

ამის შემდეგ, სხდომაზე გამოვიდა კომპანია „გეოგრაფიკის" კოორდინატორი, ქალბატონი **ანა გულისაშვილი:** „მოგესალმებით. მე გახლავართ კომპანია „გეოგრაფიკის“ კოორდინატორი. ჩემთან ერთად, სხდომას ესწრებიან გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრები, არასრული შემადგენლობით. ესენი არიან: ირაკლი მურღულია (კომპანია „ურბანიკა“), ლევან გვარამაძე (კომპანია „კოლიერს ჯორჯია“), ეთერ მუნჯიშვილი (კომპანია „კოლიერს ჯორჯია“). საჯაროობის მიზნით, თუ რაიმე შეკითხვები იქნება, მზად ვართ ვუპასუხოთ. მოკლედ, რომ შევაჯამოთ, რას მოიცავდა ეს დოკუმენტი და რა შედეგებზე გავედით, როგორ შემუშავდა ქალაქის განვითარების გეგმა და სტრატეგია, გეტყვით, რომ ჩამოყალიბდა სივრცითი განვითარების სტრატეგია, შესაბამისად, შემუშავდა განვითარების მისიები. ხედვის რეაგირებით, ქალაქ ქუთაისს შეუძლია შექმნას ისეთი სივრცეები, ტერიტორიები, რომლებიც მიმზიდველია ინდუსტრიული

განვითარებისათვის, სარეკრეაციო ზონების, აქტიური ტურისტული ცენტრების, სპორტული და გასართობი ტერიტორიებისათვის. “

ამის შემდეგ, მან სხდომაზე წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური განაშენიანების გეგმის კონცეფციის შესახებ პრეზენტაცია.

(პრეზენტაციაზე წარმოდგენილი
მასალა ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „დიდი მადლობა ქალბატონო ანა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც ამ დოკუმენტის მომზადების სამუშაო პროცესში იყო ჩართული. ნამდვილად ვიცი, ამ დოკუმენტის მოცულობა, ასევე ის საქმიანობა, რომელიც თითოეულმა თქვენგანმა განახორციელა. ამ დოკუმენტს თან ახლავს სხვა დოკუმენტაცია, როგორიც არის სპორტის, კულტურის, ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია. იცით, რომ შემუშავებულია ახალგაზრდობის სტრატეგია. ჩვენ გვაქვს უკვე გენდერული პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი. მუშავდება სპორტის სტრატეგია, რომელიც აქტიურ ფაზაშია. მე აღვნიშნე, სხდომის დასაწყისში, რომ ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში ჩამოყალიბდეს ქალაქის მშენებლობის გენერალური გეგმა. ამიტომ დღევანდელი დღე არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, ისტორიულიც კი. აქ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დოკუმენტი არ იქცეს გარკვეული შთაბეჭდილებების ჩამოყალიბების საშუალებად, საზოგადოებაში აღქმული იყოს სხვადასხვაგვარად. აქ მთავარია გვესმოდეს ამ დოკუმენტის შინაარსი, ამ დოკუმენტის მნიშვნელობაც და შესაბამისად მივიდეთ იმ დოკუმენტამდე, რომელსაც გენერალური გეგმა ჰქვია. კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო დოკუმენტზე მომუშავე ადამიანებს და ქალბატონ რუსუდანს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „მეც მინდა, გამოვეხმაურო აღნიშნულ თემას. სამ ათეულ წელზე მეტია, ჩვენი ქალაქი ელოდება დოკუმენტს, რომელიც იქნება ქალაქის განვითარების საბაზისო დოკუმენტი. ეს არ არის მხოლოდ ბინათმშენებლობაზე ორიენტირებული დოკუმენტი. ეს არის ქალაქის განაშენიანების დოკუმენტი, რომელიც თავის თავში ძალიან ბევრ თემას

გულისხმობს და ამიტომ დარწმუნებული ვარ, დღევანდელი დღე მართლაც მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქალაქის ისტორიაში. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული დოკუმენტის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს სამსახურებს, რომლებიც ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები, რომ არა მათი ჩართულობა, ვერ შედგებოდა აღნიშნული დოკუმენტი. მადლობა იმ საზოგადოებას, რომელიც ჩაერთო დოკუმენტის მომზადებაში, თუმცა ვისურვებდი, რომ იყოს მეტი და აქტიური ჩართულობა. ჩვენ მეტისმეტად ღია ვიყავით, არაერთი შეხვედრა ჩატარდა, როგორც ცოცხალ, ასევე ონლაინ რეჟიმში, რითაც მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ გამოეხატათ თავის სურვილები და დოკუმენტი ყოფილიყო უფრო მეტად მომზადებული. ასევე მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის სტანდარტი დოკუმენტი, ეს არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც დროის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს და აუცილებლად უნდა შეიცვალოს, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვაპირებთ ქალაქი ამ დონეზე დარჩეს. ქალაქი უნდა განვითარდეს და ამას ხელი ამ დოკუმენტმაც უნდა შეუწყოს, თუმცა ეს განვითარება მოიტანს გარკვეულ ცვლილებებს. ყველას დიდი მადლობა აღნიშნული დოკუმენტის მხარდაჭერისათვის.“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, თანდართულ გენერალური გეგმის კონცეფციასთან ერთად, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **რუსუდან ჩინჩალაძემ.**

(განკარგულების პროექტი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპა-
ლიტეტის გენერალური გეგმის კონცეფცია ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ჩიხლაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე,

ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის, **რუსუდან ჩინჩალაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება №182** ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-17 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-17 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-17 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 12:07:51 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.